პრეზიდიუმის სხდომა

2023 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა უსმა/usma-ს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უსმა/usma-ს თავმჯდომარემ, მეცნიერებათა დოქტორმა ბესიკ ობოლაძემ. სხდომაში მონაწილეობდნენ და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს უსმას პრეზიდიუმის წევრებმა, მეცნ. დოქტორებმა: შოთა დოღონაძემ, გოჩა ცოფურაშვილმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ, დავით სიხარულიძემ, ქეთევან ტომარაძემ, გენადი იაშვილმა, არჩილ ბარბაქაძემ, დავით ობოლაძემ.

სხდომაზე არჩეულ იქნენ უსმას პრეზიდიუმის წევრებად: მეცნიერებათა დოქტორი მარინა ქურდაძე და უსმას სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის უფროსი დიმიტრი შაინიძე.

სხდომის მონაწილეებს მიმართა მეცნიერთა ეროვნული კონგრესის სპიკერმა ერეკლე შონიამ.